თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 10

ქ. თელავი 2020 წლის 18 დეკემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, ვასილ არაბული, არჩილ თვალიაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს თავმჯდომარე **ლევანი ლილუაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. დ. ღაღანიძე

2. ქ.თელავში ალადაშვილის ქუჩაზე საპარკინგე ადგილის გამოყოფის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი ჩვენი კომისიის მიერ განხილული იყო მიმდინარე წლის 24 ნოემბერს. თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინა 2021 წლის ბიუჯეტის შესწორებული პროექტი, რომლის მიხედვითაც ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხა ნაცვლად 6733,8 ათ. ლარისა გაზრდილია 7046,8 ათ.ლარამდე. თანხის ცვლილება (გაზრდა) გამოწვეულია იმით, რომ 2021 წელს უნდა მოხდეს თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში გათბობის სისტემების საქვაბეების შენობის გარეთ გატანა. აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად და მისი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის კი საჭიროა 3130 ათ. ლარი

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი განსახილველად წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს.

მოისმინეს: 2. ქ.თელავში ალადაშვილის ქუჩაზე საპარკინგე ადგილის გამოყოფის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის ადგილების განმსაზღვრელმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა საკითხი და მოგვმართა ქ.თელავში ალადაშვილის ქუჩაზე გამოიყოს საპარკინგე ადგილი. საკითხის დადებითად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ავტომობილების კომფორტულ გადაადგილებას.

გადაწყვიტეს: ქ.თელავში ალადაშვილის ქუჩაზე საპარკინგე ადგილის გამოყოფის შესახებ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე